

კონფიდენციალურობის პოლიტიკა

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (შემდეგში: ჩვენ) მიერ თქვენი პერსონალური ინფორმაციის დამუშავებისა და დაცვის პირობებს.

1. მონაცემთა დამმუშავებელი:

ჩვენი რეკვიზიტები:

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“

მელა (მზია) ჯუღელის ქუჩა N10, 0179, თბილისი, საქართველო

+995 32 293 1111

dpo@gwp.ge - მონაცემთა დაცვის ოფიცერი

info@gwp.ge - საინფორმაციო სამსახური

www.gwp.ge

2. პერსონალურ მონაცემთა შეგროვება

ჩვენს მიერ, თქვენი პერსონალური მონაცემების შეგროვება ხორციელდება სხვადასხვა გზით, რომელსაც ვამუშავებთ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებისთვის და დადგენილი წესებით.

ამ მონაცემების მოპოვების გზებია:

- 2.1. აბონენტის პერსონალური მონაცემები - აბონენტად აყვანის, განაცხადის შემოტანის, მომსახურების მიღების და მასთან ურთიერთობის ყველა შესაძლო ეტაპზე, დაფიქსირებული პერსონალური მონაცემ(ებ)ი.
- 2.2. მომწოდებლები/პარტნიორები - ჩვენთან თანამშრომლობის შემთხვევაში, თქვენგან მოწოდებულ პერსონალური მონაცემები.
- 2.3. განმცხადებლები - თქვენს მიერ წარმოდგენილ განაცხადში, რაიმე ფორმით მოწოდებული პერსონალური მონაცემი.
- 2.4. ვიზიტორი ფიზიკური პირები - საშვის დაშვების პროცესში მოწოდებული პერსონალური მონაცემები.
- 2.5. ციფრული არხების ვიზიტორები/მომხმარებლები - სატელეფონო ცხელ ხაზზე, ინტერნეტ საკომუნიკაციო ჩეთში ან ვებ-გვერდზე მათ მიერ გადმოცემული პერსონალური მონაცემები ან/და მათ მიერ მოქმედებათა ჩანაწერები.

2022 წ. იანვარი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

საჯარო

- 2.6. ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის და დაშვების სისტემების მიერ შეგროვებული პერსონალური მონაცემები.
- 2.7. პროექტის ფარგლებში დროებით მონაწილეთა ან/და კონტრაქტორების, ქვე-კონტრაქტორების და სხვადასხვა სახით მოწოდებული პერსონალური მონაცემები.
- 2.8. მოიჯარის და მეიჯარის უწყვეტი მომსახურების მიზნით, მათ მიერ გადმოცემული პერსონალური მონაცემები.
- 2.9. თანამშრომელთა მიერ წარმოდგენილი პერსონალური მონაცემები.
- 2.10. ჩვენი საჯარო სერვისების მიღების ფარგლებში, თქვენს მიერ დაფიქსირებული ნებისმიერი სახის პერსონალური მონაცემი.

3. შეგროვების მიზნები და საფუძველი:

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და „საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ დადგენილი მოთხოვნების და დაკისრებული მოვალეობის შესრულება
- ორმხრივი ურთიერთობისას დაკისრებული მოვალეობის შესასრულებლად, რომელიც განმტკიცებულია მონაცემთა სუბიექტის მიერ სურვილით და წერილობით თანხმობით
- ჩვენი ფასეულობების უსაფრთხოება, თანამშრომელთა და მომსახურე პერსონალის უსაფრთხოება, ტერიტორიისა და შენობა-ნაგებობების დაცვა, მოძრავი ტექნიკის და მარაგების დაცვა.

4. მონაცემთა მესამე მხარეზე გადაცემა:

- მონაცემების მესამე მხარეზე გადაცემა ხდება, მხოლოდ აბონენტთა მომსახურების, დავალიანებების აღრიცხვისა და ანგარიშსწორების მიზნით:
- აბონენტის შიდა და მაიდენტიფიცირებელი ნომერი, აბონენტის ინიციალები, დავალიანების და ბალანსის მონაცემები.
 - სამართალ დამცავ ორგანოებს, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნების შესაბამისად.

5. კონფიდენციალურობის დაცვა

ჩვენთვის, მაქსიმალურად მნიშვნელოვანია ჩვენთან დაკავშირებული პირების უსაფრთხოება, როგორც ერთჯერადი ვიზიტისას ასევე ჩვენთან გრძელვადიანი თანამშრომლობისა ან ჩვენი მომსახურების მიღებისას.

აქედან გამომდინარე ვიღებთ პასუხისმგებლობას:

- თქვენს მიერ მოწოდებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია განხილული იქნეს როგორც კონფიდენციალური, თუ მოწოდების ეტაპზე სხვა რამ არ იყო მითითებული.
- ვიზრუნებთ თქვენს მიერ მოწოდებულ პერსონალური მონაცემების უსაფრთხოებასა და დაცვაზე.
- თქვენ პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად, მოგვმართეთ ნებისმიერ დროს და მიიღებთ შესაბამის პასუხს, 10 სამუშაო დღის ვადაში.
- თქვენი პერსონალური მონაცემის განახლების, ცვლილების, წაშლის, დამატების შემთხვევაში ან მასთან დაკავშირებულ საკითხებზე მოგვმართეთ ოფიციალური არხებიდან. (სერვის ცენტრი, ქოლ-ცენტრი, ონლაინ ფორმები)

6. მონაცემთა შენახვა:

მონაცემები ციფრული და ბეჭდური სახით, პროცესიდან გამომდინარე ინახება სპეციალურ დაცულ სივრცეებში. სადაც ხელმისაწვდომობა აქვთ მხოლოდ ავტორიზირებულ პირებს, რომელთა მხრიდან წვდომილება აღირიცხება და კონტროლდება აღიარებული „ინფორმაციული უსაფრთხოების“ წესების შესაბამისად.

ბეჭდური მასალა (განაცხადის ფორმები და დანართი ფაილები, კონტრაქტები, სხვადასხვა სახის ფასეული ბეჭდური მასალა, ხელმოწერილი საბუთები, საპარტნიორო შეთანხმებები და აშ), ინახება კონკრეტულ პროცესის მფლობელის კონტროლის ქვეშ, დახურულ სივრცეში (დახურულ ოთახებში/კარადებში/სეიფებში), რომელიც მოთხოვნის შესრულებიდან არაუგვიანეს ერთი წლისა, გადადის არქივში. ხოლო არქივში ინახება მინიმუმ 5 წელი და შემდგომ ნადგურდება შესაბამისი პროცედურით.

ციფრული მონაცემთა შენახვის პერიოდი და ვადები, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავდება და მუშავდება შემდეგი ნორმებით:

2022 წ. იანვარი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

საჯარო

აბონენტების პერსონალური მონაცემები:

- ციფრული სახით, მონაცემები ინახება სპეციალურ მონაცემთა ბაზაში, რომელიც დაცულია ლიცენზირებული და საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად აღიარებული ERP პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით.
- ERP პროგრამაში შეყვანილი მონაცემებზე ხელმისაწვდომობა დაშვებულია მხოლოდ ავტორიზირებული პირებისთვის.
- ციფრული სახით, 1 წლის თავზე, მონაცემები გადადის არქივში, სადაც ინახება მის განადგურებამდე.
- ასევე, მონაცემების გარკვეული ნაწილი, შესაძლოა დამუშავდეს ავტორიზირებული პირის პერსონალურ კომპიუტერზე, რომელიც მუშავდება გარკვეული პროექტის ან ბიზნეს ამოცანების ფარგლებში, ხოლო ამ პროექტის ან ამოცანის დასრულების შემდეგ აღნიშნული პერსონალური ინფორმაცია ნადგურდება პერსონალურ კომპიუტერებზე, ხოლო მათი ასლი ინახება ფაილურ სერვერზე ერთი წლის ვადით, რის მერეც გადადის არქივში მის განადგურებამდე.

მომწოდებლების/პარტნიორების შესახებ ინფორმაცია:

- ციფრული სახით, მონაცემები ინახება სამართლებრივ ურთიერთობის პერიოდის გასვლიდან მინიმუმ 3 წელი, თუ სხვა შეთანხმებით სხვა რამე არ არის გათვალისწინებული.
- მონაცემები ინახება, როგორც ERP პროგრამაში ასევე, ფაილურ სერვერზე.
- მონაცემთა განადგურება ხორციელდება კონტრაქტით გათვალისწინებული პირობებით, თუ ასეთი რამე არ არის გათვალისწინებული მაშინ მონაცემი ნადგურდება 5 წლის შემდეგ მონაცემთა განადგურების პროცესზე.

განმცხადებელი:

- პირი, რომლის შესახებ ინფორმაციის პირველი წყარო არის თავად, მისი მონაცემი ინახება განაცხადის შინაარსის მიხედვით. პასუხის გაცემიდან, 5 წლის ვადით.
- ნებისმიერ პირს შეუძლია მოითხოვოს, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაციის მიღება, გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა და განადგურება, თუ ის არ ეწინააღმდეგება სხვა მოქმედ უფლებებს.

ვიზიტორი ფიზიკური პირები:

ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა:

- o ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის მიერ ბიომეტრიული პერსონალური მონაცემების დამუშავება. რომელიც ხორციელდება, ობიექტის კრიტიკულობიდან გამომდინარე შესაბამისი ვადებით, 15-დღიდან

2022 წ. იანვარი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

საჯარო

ერთი წლის ვადით. ასეთ ობიექტებზე, გაფრთხილება ხდება სპეციალური სანიშნე სტიკერებით.

- რაიმე ინციდენტის არსებობის შემთხვევაში, ხდება ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემიდან ფრაგმენტული ვიდეო ჩანაწერების ამოღება. რომლის შენახვა ხორციელდება, ინციდენტის სრულ ამოწურვიდან 2 წლის ვადით.
- საშვის დაშვების პროცესი:
 - საშვის დაშვების პროცესში, ხორციელდება ფიზიკური პირის პერსონალური მონაცემების ჩანაწერა შესაბამის ჟურნალში: სახელი, გვარი, პირადი მაიდენტიფიცირებელი მონაცემი, ავტო-სატრანსპორტოს საშუალების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, შესვლის და გასვლის დრო, სტუმრობის მიზეზი. აღნიშნული მონაცემი, შენახვა ხდება ერთი წლის მანძილზე და შემდეგ იგზავნება მაკულატურის ყუთში, გასანადგურებლად.

ციფრული არხების ვიზიტორები:

- პირი, რომელიც სარგებლობს ჩვენი კუთვნილი ვებ-გვერდით და ვებ-სერვისებით, ჩვენ ვინახავთ მის მოქმედებებს და ოპერაციებს, მომსახურების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების მიზნით.
- ჩვენ ვებ-გვერდზე ვიზიტისას ჩვენ მხარეს ინახება: IP მისამართი, ვიზიტორის სისტემის და პროგრამული უზრუნველყოფის მონაცემი, პროტოკოლი, კავშირის დაწყების და დასრულები თარიღი.
- ზოგიერთ გვერდზე მოცემულია ფორმები, სადაც შეგიძლიათ დააფიქსიროთ თქვენი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა და ასევე თქვენი სურვილისამებრ სხვა პერსონალური მონაცემი, რომელსაც მაქსიმალურად ვუფრთხილდებით და მისი დაცვა ხორციელდება შემდეგი წესებით:
 - ჩვენს ვებ-გვერდსა და თქვენს შორის გამოიყენება დამიფრულ არხი HTTPS (TLS/SSL), რაც მესამე მხარეს არ აძლევს საშუალებას ჩვენ შორის მიმოწერაზე წვდომის.
 - თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია გროვდება ჩვენ სევერზე და მასზე წვდომა აქვთ მხოლოდ ავტორიზირებულ პირებს.
- ვებ-გვერდზე ვიზიტისას გამოიყენებულია გარე პროგრამული უზრუნველყოფა, Jivochat
 - Jivochat-ის უზრუნველყოფთ ჩვენ შორის სწრაფ და მოქნილ კომუნიკაციას, რომელიც თავის მხრივ ინახავს თქვენ მიერ გადმოცემულ მონაცემებს.
 - Jivochat-ში გადმოცემული მონაცემები, ინახება მთელი ჩვენ შორის კომუნიკაციის მანძილზე და არ ნადგურდება, თუ თქვენი მრიდან არ იყო შესაბამისი შეტყობინება გამოგზავნილი.
- ვებ-გვერდის ანალიტიკა:

2022 წ. იანვარი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

საჯარო

- ვებ-გვერდის ანალიზისთვის ვიყენებთ google analytics, თუ საიდან ხდება შემოსვლა, რა რაოდენობით, სხვა სტატისტიკური მონაცემებისთვის გროვდება ვიზიტორი ტექნიკური მონაცემები.
- აღნიშნული ინფორმაცია გროვდება google პლატფორმაზე, ხოლო ჩვენ ვსარგებლობთ მხოლოდ შემაჯამებელი ანგარიშებით.

7. თანხმობა:

- ჩვენ სამუშაო სივრცეში შემოსვლისას ეთანხმებით ჩვენ შიდა „კონფიდენციალურობის პოლიტიკასა“ და „ინფორმაციული უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებულ ყველა მოთხოვნას.
- ჩვენ ტერიტორიაზე გადაადგილებისას, ავტომატურად ეთანხმებით გამაფრთხილებელი ნიშნებით გადმოცემულ შესატყვისებს. მათ შორის ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებით.
- ჩვენ ვებ-გვერდზე და ციფრული არხების გამოყენებისას, თანახმა ხართ გამოვიყენოთ თქვენს მიერ დატოვებული ინფორმაცია წინამდებარე „პოლიტიკის მიხედვით“

8. მონაცემების წაშლა და განადგურება:

თუ თვლით, რომ ჩვენ ბაზაში თქვენი მონაცემები არა სწორად არის განთავსებული და საჭიროებს წაშლას, მაშინ უნდა მოგვმართოთ წერილობით GWP-ის სერვისცენტრში ან ვებგვერდიდან გამოგზავნოთ განაცხადი ან მიმართოთ მონაცემთა დაცვის ოფიცერს ელ.ფოსტაზე dpo@gwp.ge . მოთხოვნილი მონაცემები, თუ არ გვექნება იურიდიული საფუძველი თქვენი პერსონალური მონაცემების შენახვისთვის, მაშინ ამოიშლება ის ჩვენი ბაზებიდან, 10 სამუშაო დღის ვადაში. სხვა შემთხვევაში გაცნობებთ დამუშავების სამართლებრივი მიზნები და მოგვარების გზები.

2022 წ. იანვარი

შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

საჯარო

მონაცემთა განადგურება ხდება ერთიანი სტანდარტით, რომელიც მოიცავს შემდეგს:

ფიზიკურად ბეჭდური მასალის განადგურება:

- მონაცემის შენახვის ვადის გასვლის შემდეგ, რომლის შენახვის ვადა აღემატება 5 წელს, ხდება მისი გამოთხოვა.
- ასევე, ყოველწლიურად გროვდება შესაბამის დაცულ ყუთში ყველა ვადაგასული ბეჭდური მასალა (მაკულატურა).
- შესაბამისი ჩანაწერები რაოდენობრივად და მაკულატურა შესაბამისი ყუთით გადაეცემა, ადმინისტრაციას და უსაფრთხოების თანამშრომელთან ერთად ზედამხედველობით ხორციელდება მისი შესაბამის ადგილზე გადატანა და დაწვა.
- განადგურების შემდეგ დგება ოქმი, სადაც შესაბამის განადგურებაზე პასუხისმგებელი პირები აწერენ ხელს და ადასტურებენ, განადგურების უტყუარობას.
- ბეჭდური მასალის განადგურება შესაძლოა გადაიდოს თუ ამ 5 წლის მანძილზე აღმოჩენილი ინციდენტი ან რაიმე შემთხვევა საჭიროებს ხელახლა კვლევას ან სამართლებრივი საკითხებიდან გამომდინარე გადგა ამ მასალების შენახვის გაგრძელების საჭიროება, რომელ გადაწყვეტილებასაც იღებს შესაბამისი კომისია.

ციფრული მონაცემების განადგურება:

- არქივი, რომელიც შენახულია 10 წელი და მეტი დროის განმავლობაში, ასეთი მონაცემები იშლება პერმანენტულად.
- წაშლა ხორციელდება მთლიანი არქივის ფაილებზე.

9. ინციდენტების მართვა:

თუ არ ეთანხმებით ჩვენს მიერ შემუშავებულ „კონფიდენციალურ პოლიტიკას“ ან ფიქრობთ, რომ თქვენი პერსონალური მონაცემების გამოყენება ჩვენს მიერ მოხდა არამართლზომიერად, არა კეთილსინდისიერად, კონფიდენციალურობის დარღვევით ან/და სხვა საეჭვო ქმედებით, მაშინ დაუყოვნებლივ დაუკავშირდით მონაცემთა დაცვის ოფიცერს შემდეგ ელ.ფოსტაზე dpo@gwp.ge ან დატოვეთ წერილი ჩვენ სერვისცენტრებში „მონაცემთა დაცვის ოფიცერთან“ გადასაგზავნად.

10. მზა ჩანაწერები (Cookie)

ჩვენ ვებ-გვერდებისა (gwp.ge, mygwp.ge, portal.gwp.ge) და ელექტრონული სერვისების გაუმჯობესების მიზნით, ვახორციელებთ მზა-ჩანაწერების (Cookies) გამოყენებას, რომლის მიზანია როგორც ვებ-გვერდის ფუნქციონალის გამარტივება, ასევე ჩვენ ვებ-გვერდზე დაფიქსირებული მოქმედებების ციფრული სახით შეგროვება, შემდგომი ანალიზისა და განვითარების მიზნით.

კერძოდ მზა-ჩანაწერი არის თქვენს კომპიუტერულ მოწყობილობაზე შენახული ფაილი, რომელშიც ჩვენი ვებ-გვერდი იმახსოვრებს გარკვეული სახის ინფორმაციას, რომლის გამოყენება ხდება ყოველ ვებ-გვერდის ჩატვირთვისას-სტუმრობისას.

თუ არ გსურთ ასეთი მზა-ჩანაწერების გამოყენება ან დამახსოვრებულის წაშლა, აღნიშნული უნდა მოახდინოთ თავად, ვებ-ბრაუზერის (ვებ-მიმომხილველი პროგრამის) მეშვეობით, გაასუფთავოთ ან/და გათიშოთ მზა-ჩანაწერები. გაითვალისწინეთ, მზა-ჩანაწერების გამოყენების გათიშვის შემდომ შესაძლოა ვერ-მიიღოთ სრულყოფილი მომსახურება.

ვებ-გვერდი gwp.ge

პარამეტრის სახელი	პროვადერი	მიზნობრიობა	ხანგრძლივობა
PHPSESSID	GWP	სესიის კონტროლი	სესიის პერიოდი
FB პარამეტრები	Facebook	Facebook ანალიტიკის ჩართვა, ვიზიტორთა ქცევის დაკვირვებისთვის და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით	1 წელი
Google ანალიტიკა	Google	Google საძიებო სისტემასთან ინტეგრაციის და ძებნის ხელშეწყობის გასაუმჯობესებლად	1 წელი
JIVOCHAT პარამეტრები	JIVOCHAT	ონლაინ საკომუნიკაციო სასუალება (ჩეთი)	1 წელი

2022 წ. იანვარი
შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი
საჯარო

11. პოლიტიკის ძალაში შესვლა:

კონფიდენციალურობის პოლიტიკა ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე და ვრცელდება მის მომდევნო ცვლილებამდე. ცვლილება შესაძლოა განხორციელდეს ნებისმიერ დროს. www.gwp.ge